პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ВЫШЕЛ В 1920 ГОДУ
ІІ ОЗЕНОЛОДЕЛ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 70 (18912) | პარასკევი, 23 მარტი, 1984 წელი | ფასი 3 კაპ.

თავი ისახელეს მრეთოზლებ ვალდებულებათა შესრულებაში

საბჭოთა ფერმერებმა ნაკ ცენტრალური ... [illegible]

დავამკვიდროთ ორგანიზებულობა მშენებლობაში

ეროვნული ... [illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

[illegible]

ხუთწლედი — წელი მეოთხე

თბილისა დაინუქს

[illegible]

გაზაფხული ინგირში

[illegible]

ბაისუბელთა პლანტაციებში

[illegible]

ვამრავლოთ მიღწეული

[illegible]

● საყდრისი თვალზე

ჯარი — დროზე და სტანდარტების შესაბამისად!

[illegible]

სიახლის ათასი ფახნაბი

თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.

კ. უ. ჩერნენკო.

ჩვენი რესპუბლიკის სავარგულების სტრუქტურაში სახნავის ხვედრითი წილი მეტად მცირეა და სამჭერ ნაკლებია, ვიდრე უკრაინაში, და თითქმის ორჯერ ნაკლები საბჭოთა კავშირის შესაბამის მაჩვენებელზე. მაგრამ სავალალო უფრო ის გახლავთ, რომ ჭირნახულის მოყვანის ამ მცირე შესაძლებლობასაც ყოველთვის ყაირათიანად ვერ ვიყენებთ — ჩვენი მადლიანი ჰავისა და ნაყოფიერი მიწისაგან ვერ ვიღებთ იმას, რისი მოცემაც მას შეუძლია.

ამ საარსებო პრობლემის გადაჭრას ბოლო წლებში მთელი გულისყურით ეკიდებიან მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, უფრო მეტიც, მათ დაამტკიცეს, რომ ერთი და იგივე მიწიდან დამატებითი შრომისა და სახსრების დაუხარჯავად მეტი პროდუქციის მიღება შეიძლება.

...ჭობესების პრობლემა. ამ დაჭაობებული 5.400 ჰექტარის ათვისებლად მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა, რის წყალობითაც აქ რაიონი 10 ათას ტონაზე მეტ თიგვს ამზადებს. გაუმჯობესებულ სავარგულებზე შეიქმნა მომთაბარე ფერმები. მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდა სასუქების პუნქტის, ხელოვნური რძის საამქროს, მეომეურნეობის სამეურნეობათაშორისო კომპლექსის მშენებლობას, მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს რეკონსტრუქციასა და მისი წარმოების გაფართოებას.

— მეფრინველეობის საწარმო წლების მანძილზე ჩამორჩენილად ითვლებოდა, — ამბობს მისი დირექტორი ზ. კაპაყმაძე, — ვერ ვასრულებდით გეგმებს, შარშანწინ 640 ათასი მანეთი დავილი...

ახლებური მართვის კეთილი ნაყოფი

ჩამოსცდილება

ტაბლოზე სასურველი ციფრები

ეს დღეები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში

გ. ქინქიბაძე.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტის" უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომი და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილი სათაურით „უერმის დიდი ნაზრუნავით, რომელიც ვანის რაიონის საზოგადოებრივ მეცხოველეობას, ამასთან დაკავშირებით პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ანდრიაძე რედაქციას სწერს:

— წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. კერძოდ, სოფელ კოროვის კოლმეურნეობაში ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის გამო სრულიად გაფუჭდა 120 ტონა სილოსი. პარტიის რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ 1983 წლის 30 სექტემბერს იმსჯელა ლენინის...

...რულია წერილში ... „კომუნისტში" წერილის გამოქვეყნების შემდეგ მეურნეობაში ... რითადად დამთავრეს სამონტაჟო-გასამართავი სამუშაოები (საწველი ბლოკი, საკვებურების მექანიკური ამწევები). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გადაუჭრელია კომპლექსის რეკონსტრუქციის საკითხი.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მ. ალიევი გვწერს:

— „კომუნისტში" დაბეჭდილი...

მეცნიერება—წარმოებას

პლასტმასის საროყავი

ვ. ხახიძე,
ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკუთ. კორესპ.

კრების მიმოხილვა

მეტი ყურადღება მშრომელთა წერილებს

ვ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პარტიული ცხოვრება: დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმე

განვამტკიცოთ მშვიდობისათვის მებრძოლთა ერთიანობა

ჩვენი საერთო საზრუნავი

კუბისა და ანგოლის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაცია

ჰავანა. აქ გამოქვეყნდა კუბის რესპუბლიკისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაცია.

ორ წელზე მეტი ხნის წინათ, 1982 წლის 4 თებერვალს ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის მთავრობებმა ერთობლივ განცხადებაში მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი პრინციპული პოზიცია სამხრეთ აფრიკაში შექმნილი დაძაბული სიტუაციის მიმართ.

მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ გასულმა დრომ დაადასტურა სამართლიანობა განცხადების ყველა დებულებისა, რომელსაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო საზოგადოებრივმა აზრმა და რომელმაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთსულოვანი სიმპათია დაიმსახურა. სამარცხვინო გამონაკლისი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობებია, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე ჯიუტად მოითხოვდნენ ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი „დაეკავშირებინათ" ანგოლიდან კუბის ჯარების გამოყვანასთან — მანკიერ ფორმულასთან, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ და მორალურ საფუძველს და რომელსაც გმობს მთელი მსოფლიო.

ანგოლელი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ, რომელსაც მტკიცედ უჭერენ მხარს მისი მოკავშირე ინტერნაციონალისტები, დაარწმუნა იმპერიალისტი აგრესორები, რომ შეუძლებელია გატეხონ ანგოლის სახალხო რესპუბლიკა, მოსპონ მისი რევოლუციური პროცესი და აიძულონ ისინი დათანხმდნენ მოლაპარაკებას უკვე ახალ საფუძველზე.

დოკუმენტში შემდეგ ნათქვამია: ადასტურებს რა თავის ერთგულებას ერთობლივი განცხადების დებულებებისადმი, კუბისა და ანგოლის მთავრობები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საკუთარი გადაწყვეტილებათა და თავიანთი სუვერენული უფლებების შესაბამისად განაახლებენ კუბის ინტერნაციონალისტური სამხედრო კონტინგენტის ეტაპობრივ გამოყვანას მას შემდეგ, როგორც კი შესრულდება შემდეგი პირობები:

1. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული ჯარების ცალმხრივი გამოყვანა ანგოლის ტერიტორიიდან.
2. № 435 რეზოლუციის მთლიანი შესრულება; ნამიბიისათვის რეალური დამოუკიდებლობის მინიჭება და სრული გამოყვანა სამხრეთ აფრიკის ჯარებისა, რომლებმაც უკანონოდ დაიპყრეს ამ ქვეყნის ტერიტორია.
3. ანგოლის წინააღმდეგ პირდაპირი აგრესიის ან აგრესიის მუქარის აქტების შეწყვეტა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების მხრივ.

ამ სამ მოთხოვნასთან ერთად აუცილებელი პირობაა, — როგორც ეს იყო ჩამოყალიბებული ანგოლის მთავრობის მიერ პრეზიდენტ ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშის 1983 წლის 26 აგვისტოს განცხადებაში — ყოველგვარი მხარდაჭერა შეწყვიტონ უნიტას კონტრრევოლუციურ ორგანიზაციისა და ყველა სხვა მარიონეტულ დაჯგუფებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა. ამ მოთხოვნათა შესრულება შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, მიუმხრობლობის მოძრაობისა და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი რეზოლუციის განხორციელებას.

ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოაწერეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფიდელ კასტრომ და მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა, რომელიც აქ მეგობრული სამუშაო ვიზიტად იმყოფება.

ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

საბჭოთა და ამერიკელი მწერლების დიალოგი

სან-ფრანცისკო, მალიბუში (კალიფორნიის შტატი) დამთავრდა საბჭოთა და ამერიკელი მწერლების მეექვსე კონფერენცია. ეს შეხვედრები დაიწყო 1977 ...

ფოტოინფორმაცია

საბჭოთა კავშირის საწარმოებთან „ტომსონ-ბრანდტის" ფირმის თანამშრომლობის მრავალი წლის გამოცდილება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის წარმატებული განვითარების ნიმუშია. როგორც ხაკდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის „ტომსონ-ბრანდტის" სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტ-გენერალურმა დირექტორმა ჟაკ ჟაიარმა თქვა, დღეს საბჭოთა და ფრანგი ინჟინრები მომავალი ათწლეულის ტელევიზორის შექმნაზე მუშაობენ. „ეს ორი ქვეყნის სპეციალისტთა საზარგებლო და ეფექტიანი თანამშრომლობის მაგალითია, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის საქმეში. იგი უნდა განვავრცოთ", — აღნიშნა ჟაკ ჟაიარმა.

სურათზე: წუნიანი პროდუქციის წარმოების მიზეზების გამომავლენი ლაბორატორია. ამ მიზეზების გამოვლენის მაქსიმალური ვადაა 24 საათი, რის შემდეგაც ლაბორატორია წუნის აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციას იძლევა.

ვ. სნიგოვსკის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური ინტერნაციონალის მიმართვა

რეიგანმა მიიღო ემიგრანტი ნაძირალები

14-15 აპრილი ხსოვნის დღეა

საქმე საშვილიშვილო

მოღვაწეთა პანთეონში, დიდების მემორიალსა და საძმო საფლავებზე, სამხედრო დიდების მემორიალებთან. ვ. ი. ლენინის ...

ორპირი

საინტერესო გამოფენა - სიმპოზიუმი

თბილისის „საქმედტექნიკის" საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ექსპოზიცია. აქ წარმოდგენილია ფინელი სპეციალისტების მიერ შექმნილი სხვადასხვა ტრენაჟერ-ველორგომეტრი, სარბენი ბილიკები, რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი სხვა მექანიკურ-თერაპიული ხელსაწყოები, საავადმყოფოების მოწყობილობა, სპეციალური თეთრეული საავადმყოფო დაწესებულებებისათვის, სამკურნალწამლო პრეპარატები.

გამოფენა-სიმპოზიუმი მოაწყვეს ფინეთის სააქციო საზოგადოებებმა „თამროშ" და „კოლმი-სეტმა", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მრეწველობის კოოპერატივის სამმართველომ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „საქმედტექნიკის" მთავარმა სამმართველომ.

ეს არის პირველი ამგვარი მონობრივი დანიშნულების გამოფენა, სადაც წარმოდგენილია პროდუქცია საქართველოს მედიკოსთა მეცადინეობისათვის.

— ჩვენ აქტიური ვთანამშრომლობთ საბჭოთა კავშირთან უკვე ათ წელზე მეტია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სააქციო საზოგადოებების „თამროშ" და „კოლმი-სეტის" ვიცე-კონსულმა, ექსპორტის უფროსმა გ. პოლუმ. — მარმან თქვენს ქვეყანაში — კალუგის ოლქის ქალაქ კონდროვოში ავაშენეთ საავადმყოფოებისა და საამბულატორიო სახლებისათვის ერთჯერადი თეთრეულის საწარმოო ქარხანა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გამოსხივებით დასტერილებული სპეციალური თეთრეულის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო ინფექციები და ოპერაციის შემდგომი გართულებანი სამკურნალო დაწესებულებებში.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა „თამროს" ფირმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებზე. ახლახან საბჭოთა ავტომობილების „რაფის" და „ზილის" ბაზაზე შევქმენით ახალი გაუმჯობესებული მოდელები „სასწრაფო მანქანებისა", რომლებიც გათვალისწინებულია ცუდი გზების პირობებში გამოყენებისათვის. ვფიქრობ, რომ ასეთი მანქანები განსაკუთრებით დააინტერესებთ ქართველ სპეციალისტებს.

ჩვენ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს საქართველოს სპეციალისტებთან, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის კოოპერატივების სამმართველოსთან. ვაპირებთ გავაფართოოთ ფინეთიდან თქვენს რესპუბლიკაში სამკურნალო დაწესებულებებისათვის სხვადასხვა მოწყობილობის მიწოდება. (საქინფორმი).

ფეხბურთი

ყველა შედეგი

გუშინ ევროპის საფეხბურთო ტურნირების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩების შედეგები:

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ბუქარესტის „დინამო"-მინსკის „დინამო" — 1:0, შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი"-ავსტრიის „რაპიდი" — 1:0, ბერლინის (გდრ) „დინამო"-იტალიის „რომა" — 2:1, პორტუგალიის „ბენფიკა"-ინგლისის „ლივერპული" — 1:4. ამ ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ **ბუქარესტის „დინამო", „დანდი იუნაიტედი", „რომა" და „ლივერპული".**

თასების მფლობელთა თასი. დონეცკის „შახტიორი"-პორტუგალიის „პორტო" — 1:1, შოტლანდიის „აბერდინი"-უნგრეთის „უიპეშტ დოჟა" — 3:0, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი"-ესპანეთის „ბარსელონა" — 3:0, იტალიის „იუვენტუსი"-ფინეთის „ხაკა" — 1:0. ნახევარფინალში გავიდნენ **„პორტო", „აბერდინი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „იუვენტუსი".**

უეფას თასი. მოსკოვის „სპარტაკი"-ბრიუსელის „ანდერლეხტი" — 1:0, ავსტრიის „ავსტრია"-ინგლისის „ტოტენჰემი" — 2:2, იუგოსლავიის „ჰაიდუკი"-ჩეხოსლოვაკიის „სპარტა" — 2:0, ავსტრიის „შტურმი"-ინგლისის „ნოტინჰემ ფორესტი" — 1:1. ნახევარფინალში ითამაშებენ „ანდერლეხტი", „ტოტენჰემი", „ჰაიდუკი" და „ნოტინჰემ ფორესტი".

ნახევარფინალური წყვილების წილისყრა მოეწყობა 23 მარტს.

მესამე ტური

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრა. შედეგები ასეთია: „ფახთაქორი"-„არარატი" — 2:1, „ზენიტი"-„დნეპრი" — 2:0, „ქალგირისი"-„მეტალისტი" — 0:0, როსტოვის ასკ-„ყაირატი" — 3:1, კიევის „დინამო"-მოსკოვის „ტორპედო" — 1:0, „ჩერნომორეცი"-ცსკა — 2:1, მოსკოვის „დინამო"-თბილისის „დინამო" — 0:0.

საჭადრაკო ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. კანადის დედაქალაქ ოტავაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი. ქალთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა კატარინა ვიტი (გდრ), ვერცხლისა — ანა კონდრაშოვა (სსრ კავშირი), ბრინჯაოსას — ელაინ ზაიაკი (აშშ).

მძლეოსნობა. უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე ქალთა შორის მრავალჭიდში უძლიერესი იყო მოსკოველი ნ. ვტიუზოვა (2614 ქულა). მეორე ადგილზე გამოსულმა ლ. არტანიკოვამ (უკრაინა) 60 მეტრზე და 8-1 ვარჯიშში მსოფლიო რეკორდებზე უკეთესი შედეგები აჩვენა — შესაბამისად 338 და 1325 ქულა. ვაჟთა მრავალჭიდში ყველას აჯობა ლვოველმა ი. პროკოპიევმა (უკრაინა) — 2587 ქულა. მანვე 30 მეტრზე სროლაში საკავშირო რეკორდი გაიმეორა — 702 ქულა.

...მეექვსე პარტია, რომელიც გადაიდო. ანგარიში კვლავ 3,5:1,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

ხოჯში კი ი. ლევიტინასა და ლ. სემიონოვას მეშვიდე პარტია გუშინწინ უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი არ შედგა იმის გამო, რომ ლევიტინამ „ტაიმ-აუტი" აიღო.

დ ა ზ ლ ი:

გმირობა გრძელდება

● შემთხვევის ადგილიდან

ლაზლი (ბუხარის ოლქი), 21 მარტი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ფაზილოვი, ს. ფენიუტინი). ყიზილკუმის გაზის მომპოვებელთა ახალგაზრდა ქალაქს, რომელმაც გმირულად გადაიტანა მიწისძვრა ქარიშხლის შეტევა 1976 წლის გაზაფხულზე და მოკლე ხანში აღდგა ნანგრევებიდან, კვლავ თავს დაატყდა სტიქია. ახლა, როცა ამ სტრიქონებს გადმოგცემთ, ერთი დღე-ღამეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ცხრაბალიანმა მიწისძვრამ კვლავ გამოცადა როგორც ქალაქის, ისე აქ მცხოვრები და მომუშავე ადამიანების — წიაღის მზვერავების, მაგისტრალური გაზსადენების მშენებლებისა და ექსპლოატაციის მუშაკების ხასიათის სიმტკიცე.

...ნების სამინარო ფონდს. ნაწილობრივ გამოსულია მწყობრიდან სკოლები, სკოლამდელთა დაწესებულებანი, საავადმყოფოები, ვაჭრობისა და სერვისის საწარმოები. სტიქიის უმთავრესად ძველი განაშენიანების სახლებმა ვერ გაუძლო.

მიწისძვრის რაიონში ჩამოვიდნენ რესპუბლიკისა და უზბეკეთის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. ამოქმედდა ტაშკენტ-ბუხარის საჰაერო ხიდი, რომლითაც ჩამოიტანეს კარვები, საჭირო საქონელი, მედიკამენტები. აქვე, დასაქ... დომ ხაზთან მათ ავტომანქანებზე ...

[illegible]

გიწვევთ მცხეთაში - ბაზრობაზე!

ქ. მცხეთაში, ბებრისციხის ძირას, თეატრონის პარკში მუშაობას შეუდგა კოოპერაციული საცალო ბაზრობა.

ცეკავშირის სისტემის ორგანოსავლეთ საქართველოს ყველა კოოპერაციული ორგანიზაციის სავაჭრო ქსელი ბაზრობაზე მომხმარებლებს შესთავაზებს როგორც სამამულო წარმოების, ისე იმპორტულ ქსოვილებს, ფეხსაცმელს, მზა ტანსაცმელს, ტრიკოტაჟს, პარფიუმერია-გალანტერეას, სპორტულ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სხვა საქონელს.

ბაზრობა იმუშავებს ყოველ შაბათ-კვირას.

თქვენ აქ შემოგთავაზებენ ცივ სასმელებს და გამაგრილებელ წყლებს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მცხეთის ბაზრობაზე!

ცეკავშირის გამგეობა, „საქკოოპრეკლამა".

დ. აკაბაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ზაქარიას ძე აკაბაშვილი.

დ. აკაბაშვილი დაიბადა 1911 წელს ყვარელში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1957 წელს, — სადოქტორო დისერტაცია. 1959 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1960 წლიდან გარდაცვალებამდე დ. აკაბაშვილი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე.

[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

რედაქტორი
მ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ოთხშაბათი, 23 მარტი ... **ხუთშაბათი, 24 მარტი** ... **პარასკევი, 25 მარტი** ... **შაბათი, 26 მარტი** ... **კვირა, 27 მარტი** ... **ორშაბათი, 28 მარტი** [illegible]

შეხვედრა ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — საბჭოთა კავშირი — II ტაიმი (გადაცემა გფრ-დან).

ხუთშაბათი, 29 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშა ციქნებოდე". 10.35 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო: სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — ქართული მხატვრული ფილმი „დილოსტატის მარჯვენა". II სერია. 11.50 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ... ვისა, პრობლემები და ძიება". 10.25 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის". 11.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის ფერები". 12.40 — „ფეხე ქვეყნისა" მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შემოდგომის გზა დედისაკენ". 13.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „ვის ეძებდა ანანასი". 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაში — გ. კობახიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „რამაიანა". 16.00 — „ახალი ამბები (რუსულ ენაზე). ... 12.55 — დილის გასართობი პროგრამა. 13.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.25 — ქართული სპორტის მატიანე — რ. ზაქლაყაძე. 13.55 — კამერული მუსიკის კონცერტი. 14.30 — „თბილისი და თბილისელები". 15.05 — „პოეზიის ხუთი წუთი". ... 15.45 — ... 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე" — სატელევიზიო ჟურნალი. 17.00 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. 17.30 — „მშენებლობა და არქიტექტურა" — სატელევიზიო პროგრამა. 18.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.25 — მუსიკის საკავშირო კვირეული ბავშვებისათვის — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 19.30 — „ეკრანი". 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 21.35 — საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

[illegible]

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

[illegible]

მოსკოვი

[illegible]

თბილისი

[illegible]

ჩვენს მეზობლებთან

[illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07153 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ... [illegible]